



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული
საკრებულოს პირველი სხდომის

ოქმი N15

ქ. ბათუმი

2021 წლის 03 დეკემბერი
12⁰⁰ საათი

ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე დასასწრებად რეგისტრაცია გაიარა ახალარჩეული საკრებულოს 32-მა წევრმა (რაც დადასტურდა შესაბამის სარეგისტრაციო ფურცელზე ხელმოწერებით), კერძოდ ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- ასლან ბალაძე - საკრებულოს წევრი
- როსტომ ხალვაში - საკრებულოს წევრი
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს წევრი
- ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს წევრი
- რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი
- ნატალია ზოიძე - საკრებულოს წევრი
- ლევან ცხომიძე - საკრებულოს წევრი
- დავით მახარაძე - საკრებულოს წევრი
- ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი
- ლევან ბერიძე - საკრებულოს წევრი
- თენგიზ აფხაზავა - საკრებულოს წევრი
- თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი
- გოჩა მგელაძე - საკრებულოს წევრი
- ლევან დოლიძე - საკრებულოს წევრი
- გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი

- მინდია გოგუაძე - საკრებულოს წევრი
 - კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი
 - რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი
 - თეკლა კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი
 - ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი
 - მამუკა ქობულაძე - საკრებულოს წევრი
 - ნატო ნაცარაშვილი - საკრებულოს წევრი
 - ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი
 - ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი
 - ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი
 - ბაჩი მექვაბიშვილი - საკრებულოს წევრი
 - ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი
 - ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი
 - ნაზი ფუტყარაძე - საკრებულოს წევრი
 - ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს წევრი
 - ირაკლი კუპრაძე - საკრებულოს წევრი
 - ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს წევრი
- არ ესწრებოდნენ:
- ნინო ბაციაშვილი - საკრებულოს წევრი
 - აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ ა ს ე ვ ე :

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

ქ. ბათუმის საკრებულოს და მერიის სხვა თანამშრომლები;

ახლარჩეული საკრებულოს პოლიტიკური სუბიექტების აქტივისტები;

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ – ციალა შავაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ:

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მას, როგორც ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, აქვს პატივი გახსნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა.

ისარგებლებს შემთხვევით და ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნუგზარ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ შეძლო პანდემიის პირობებში 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მაღალ დონეზე ადმინისტრირება. არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაშიც აღინიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა პროცესი პროფესიონალურად და გამჭვირვალედ წარმართა და კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი ვადა დაიცვა, გამჭვირვალობის და სანდოობის ხარისხის გაზრდას შეუწყო ხელი აგრეთვე საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ ხმის დათვლის პროცესის ვიდეოგადაღების და გადათვლების შესახებ, შეახსენა, რომ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ, როგორც ვალდებულების, ასევე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე ორივე ტურში 24 უბნის შედეგები და ერთი უბნის სიებში არსებული ხელმოწერები გადაითვალა. მათგან მხოლოდ რამდენიმე უბანზე უმნიშვნელოდ შეიცვალა მონაცემები, რასაც გავლენა არ მოუხდენია უბნის შედეგებზეც კი, დანარჩენი უცვლელი დარჩა.

კენჭისყრის დღისთვის საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილი იყვნენ არამარტო ტექნიკური და მატერიალური თვალსაზრისით, არამედ კოვიდ რეგულაციების დაცვისთვის ყველა საჭირო სამეურნეო ნივთებით, კომისიის წევრებს ჩაუტარდათ 6 ეტაპიანი ტრენინგი, რაც მოიცავდა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას და ვფიქრობ მცირე ხარვეზების მიუხედავად მათ საბოლოოდ კარგად გაართვეს თავი ყველა მნიშვნელოვან გამოწვევას, ეს ყველაფერი კი ხანგრძლივი და მძიმე შრომის შედეგია, ისარგებლებს ამ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადაუხდის მადლობას ცესკოს შესანიშნავ გუნდს, ოლქის წევრებს, ტექნიკურ პერსონალს და ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას გაწეული დაუღალავი შრომისთვის, მადლობა გადაუხადა აგრეთვე ჩვენი

ქალაქის ამომრჩევლებს აქტიურობისათვის, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ჩართულობისთვის, საარჩევნო სუბიექტებს და მედიას, ჟურნალისტებს ჩვენი საქმიანობის აქტიურად გაშუქებისათვის. მან წარმოადგინა ინფორმაცია არჩევნების შედეგების შესახებ:

კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 35 დეპუტატი უნდა აგვერჩია, მათგან 7 მაჟორიტარი, შევამისად ბათუმის ოლქი 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დაყოფილი იყო 7 მაჟორიტარულ ოლქად, პირველ ტურში რეგისტრირებული იყო 148011 ამომრჩეველი, და 77583 მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ხოლო მეორე ტურში 147964 და მათგან 77 035 გამოხატა საკუთარი ნება. პროპორციული წესით მონაწილეობა არჩევნებში მიიღო 16 საარჩევნო სუბიექტმა, მერობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 10 კანდიდატმა მათ შორის 2 საინიციატივო ჯგუფის მიერ იყვნენ წარდგენილი, მაჟორიტარი კანდიდატები წარდგენილი ყავდა 11 სუბიექტს.

2 ოქტომბერს ჩატარებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შედეგად პროპორციული სისტემით 28 მანდატი 4 საარჩევნო სუბიექტზე შემდგენილად გადანაწილდა : 12 მანდატი №5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: სახ სია: კახაბერ ქაშიბაძე, რევაზ ხარაზი, თეკლა კავაზაშვილი, ლაშა კილაბერია, მამუკა ქობულაძე, ნატო ნაცარაშვილი, ალექსანდრე ვარშალომიძე, ილია ჯინჭარაძე, ქეთევან ლასტაკანიძე, ბადრი მექვაბიშვილი, ირაკლი ზოიძე, ეკატერინე ზარია.

1 მანდატი №9 ლელო: ირაკლი კუპრაძე

3 მანდატი №25 გახარია საქართველოსთვის: ნინო ბაციაშვილი,აკაკი გვიანიძე, ირაკლი თავდგირიძე

12 მანდატი №41 ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო: ასლან ბალაძე,როსტომ ხალვაში, ნერიმან ცინცაძე, ზურაბ ნაკაიძე, რიჩარდ სირაბიძე, ნატალია ზოიძე, ლევან ცხოიძე, დავით მახარაძე, ნინო ცხვარაძე, ლევან ბერიძე, თენგიზ აფხაზავა, თეონა ბერიძე.

რაც შეეხება მაჟორიტარებს პირველ, მესამე და მეოთხე მაჟორიტარულ ოლქში ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან წარდგენილმა კანდიდატებმა: ნაზი ფუტკარაძემ, ნოდარ დუმბაძემ და ნუგზარ ფუტკარაძემ, ხოლო მეორეში, მეხუთეში, მეექვსესა და მეშვიდეში ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოდან წარდგენილმა კანდიდატებმა: გოჩა მგელაძემ, ლევან დოლიძემ, გიორგი ლომთათიძემ, მინდია გოგუაძემ.

ახლა კი ბათუმის საკრებულოს ახალარჩეულ წევრთაგან უხუცესს ქალბატონ ნერიმან ცინცაძეს გადავცემ სიტყვას და სამანდატო კომისიისთვის განკუთვნილ დოკუმენტაციას: შემაჯამებელ ოქმებს და საადრიცხვო ბარათებს.

საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე ნერიმან ცინცაძე მიესალმა ახალარჩეულ საკრებულოს წევრებს. ახალარჩეული საკრებულოს სახელით სამძიმარი გამოთქვა კოლეგის - ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო, მიმართა თხოვნით კოლეგებს ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ მის ხსოვნას.

ასევე მიულოცა, ახალარჩეულ საკრებულოს წევრებს არჩევნებში მიღწეული წარმატება და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ. არ შეუძლია მადლობა არ გადაუხადოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობისა და მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებისათვის, მათი პოლიტიკური შეხედულებების განსხვავების მიუხედავად. რაც შეეხება ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის სამუშაო განრიგს აღნიშნულის შესახებ დეპუტატებისთვის ცნობილია, რომლის შესაბამისადაც წარიმართება სხდომის მსვლელობა.

სხდომა წარიმართება შემდეგი სამუშაო განრიგით

კანონმდებლობის შესაბამისად დაასახელა დროებით სამანდატო კომისიის შემადგენლობა 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც ღია კენჭისყრით აირჩევა. შემდეგ გამოცხადდება 30 წუთიანი შესვენება, რათა დროებითმა სამანდატო კომისიამ შეისწავლოს 79-ე ბათუმის საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაცემული მასალები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე;

შესვენების შემდეგ მოისმენენ დროებითი სამანდატო კომისიის მოხსენებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგების შესახებ;

ამის შემდეგ, კენჭს უყრით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე;

შემდეგ მოუწოდებს საკრებულოს წევრებს სამანდატო კომისიას წარუდგინონ ფრაქციების დასარეგისტრირებლად საჭირო დოკუმენტები, რომლის დარეგისტრირებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს სამანდატო კომისია.

შესვენების შემდეგ მოისმენენ სამანდატო კომისიის მოხსენებას რეგისტრირებული ფრაქციების შესახებ, ხოლო ეს ინფორმაცია ცნობად იქნება მიღებული.

შემდეგ გამოცხადდება 10 წუთიანი შესვენება საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურების წარმოსადგენად.

შემდეგ ფარული კენჭისყრით აირჩევენ საკრებულოს თავმჯდომარეს;

თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში, ექნებათ ერთ საათიანი შესვენება საკრებულოს თავმჯდომარის სამი მოადგილის კანდიდატების დასახელების მიზნით კონსულტაციების გასავლელად.

ფარული კენჭისყრით აირჩევენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს;

20 წუთიანი შესვენების გამოცხადების შემდეგ სამანდატო კომისია განსაზღვრავს კომისიებში წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

ამის შემდეგ კენჭს უყრიან დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მომზადებულ განკარგულების პროექტს – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ;

ამის შემდეგ ექნებათ კიდევ ერთი შესვენება, რათა დამტკიცებული კვოტების შესაბამისად, მოხდეს კომისიების დაკომპლექტება;

შესვენების შემდეგ მოისმენენ დროებითი სამანდატო კომისიის ინფორმაციას კომისიების შემადგენლობის დაკომპლექტების შესახებ;

ხოლო ბოლოს მოხდება კომისიების თავმჯდომარეების ფარული კენჭისყრით არჩევა.

ასეთი იქნება ახლარჩეული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის მუშაობის განრიგი.

ნოდარ დუმბაძემ წამოაყენა წინადადება უფლებამოსილების ცნობის შემდეგ განცხადების გაკეთების თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახლარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღის წესრიგი განსაზღვრულია კანონმდებლობით და შესაძლებელი მხოლოდ განსახილველი საკითხების ირგვლივ, პროცედურულ საკითხებზე სიტყვით გამოსვლა.

ახლადარჩეული სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს პირველ სხდომაზე სხვადასხვა პროცედურების ორგანიზების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს დროებითი სამანდატო კომისიის შექმნას 3 წევრის შემადგენლობით, რომლის შემადგენლობასაც ასახელებს პირველი სხდომის თავმჯდომარე და რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით, საკრებულოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მიუხედავად იმისა, რომ დროებით სამანდატო კომისიის სრულ შემადგენლობას ასახელებს პირველი სხდომის თავმჯდომარე ამ შემთხვევაში მე, როგორც სხდომის თავმჯდომარე დავასახელებ სამანდატო კომისიის ორ წევრს:

კომისიის თავმჯდომარედ : თენგიზ აფხაზავა

კომისიის წევრი - თეონა ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით სამანდატო კომისიის მესამე წევრის დასახელების შესაძლებლობის თაობაზე, რომ ხომ არ ჰქონდათ სურვილი დაესახელებინათ მათთვის სასურველი მესამე წევრის კანდიდატი, რა-ზედაც საკრებულოს წევრების მიერ არ იქნა დასახელებული დროებითი სამანდატო კომისიის მესამე წევრი, შესაბამისად მან წარმოადგინა სამანდატო კომისიის მესამე წევრი - გოჩა მგელაძე.

საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დროებითი სამანდატო კომისიის შექმნის შესახებ.

დაიწყო კენჭისყრის პროცედურა:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - 2 (ნ. ფუტკარაძე, მ. ქობულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ი. თავდგირიძე)

აცნობა, რომ არჩეული იქნა დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით :

თავმჯდომარე თენგიზ აფხაზავა;

წევრი თეონა ბერიძე;

წევრი გოჩა მგელაძე.

და ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებულ იქნა „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის განკარგულება.

გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება დროებით სამანდატო კომისიის მიერ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და სათანადო დასკვნის წარმოდგენისათვის. შესაბამისად დროებით სამანდატო კომისიას გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ საარჩევნო დოკუმენტაცია.

საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ სხდომა განახლებულად გამოაცხადა.

სთხოვა დროებით სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს სამანდატო კომისიის დასკვნის წარმოდგენა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით.

დროებით სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად დროებით სამანდატო კომისიის მიერ განხილულ იქნა №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო მასალები, რის საფუძველზეც კომისიამ შეადგინა წინამდებარე დასკვნა შემდეგზე:

1. №79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადდა (დადასტურდა) 2021 წლის 02 ოქტომბერს ჩატარებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის, უფრო მეტიც საკრებულოს 35-ვე წევრის არჩევა, რის თაობაზეც წარმოდგენილია

შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი, ასევე ახალარჩეული საკრებულოს 35-ვე წევრზე გაცემულია მანდატები (შესაბამისი მოწმობები).

2. დღეს, 2021 წლის 03 დეკემბერს გამართულ ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებაზე (სხდომაზე) დასასწრებად რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტმა, ახალარჩეული საკრებულოს 32-მა წევრმა, რის საფუძველზეც N79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნილად გამოაცხადა ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა.

3. ახალარჩეულ საკრებულოს არცერთ წევრთან მიმართებაში არ დგინდება საკრებულოს წევრის სტატუსტთან შეუთავსებლობის შემთხვევა.

4. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით საკრებულოს არცერთი წევრის არჩევის კანონიერებასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

5. წინამდებარე დასკვნის 1-4 პუნქტების შესაბამისად სამანდატო კომისია ასკვნის, რომ შესაძლებელია საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნეს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხი, ვინაიდან არ არსებობს მისი ხელშემშლელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

6. სამანდატო კომისიაში წარმოდგენილი მასალებით ასევე დგინდება, რომ საკრებულოს წევრად არჩეულმა ბადრი მექვაბშივილმა, არჩევნების შემდეგ შეიცვალა სახელი და ამჟამად მისი სახელი არის ბაჩი, შესაბამისად მისი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა უნდა მოხდეს, როგორც ბაჩი მექვაბშივილი.

7. ამასთან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 03 დეკემბრის N01/246476 წერილით დასტურდება, რომ მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრი ნუგზარ ფუტკარაძე გარდაიცვალა, შესაბამისად ვერ მოხდება მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა, შესაბამისად საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა საკრებულოს მიერ უნდა განხორციელდეს შემდეგი ერთიანი სიის მიხედვით:

- მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრები:

1. გოჩა მგელაძე
2. ლევან დოლიძე
3. გიორგი ლომთათიძე
4. მინდია გოგუაძე
5. ნოდარ დუმბაძე
6. ნაზი ფუტკარაძე

- პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრები:

7. ასლან ბალაძე
8. როსტომ ხალვაში
9. ნერიმან ცინცაძე
10. ზურაბ ნაკაიძე
11. რიჩარდ სირაბიძე
12. ნატალია ზოიძე

13. ლევან ცხოიძე
14. დავით მახარაძე
15. ნინო ცხვარაძე
16. ლევან ბერიძე
17. თენგიზ აფხაზავა
18. თეონა ბერიძე
19. კახაბერ ქაშიბაძე
20. რევაზ ხარაზი
21. თეკლა კავაზაშვილი
22. ლაშა კილაბერია
23. მამუკა ქობულაძე
24. ნატო ნაცარაშვილი
25. ალექსანდრე ვარშალომიძე
26. ილია ჯინჭარაძე
27. ქეთევან ლასტაკანიძე
28. ბაჩი მექვაბიშვილი
29. ირაკლი ზოიძე
30. ეკატერინე ზარია
31. ირაკლი კუპრაძე
32. ნინო ბაციაშვილი
33. აკაკი გვიანიძე
34. ირაკლი თავდგირიძე

8. სამანდატო კომისიის მიერ შედგენილი წინამდებარე დასკვნა და უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტი კენჭისყრისათვის წარედგინოს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს.

9. ამასთან, სხდომის თავმჯდომარეს ეთხოვოს საკრებულომ ცნობად მიიღოს, რომ გარდაცვალების გამო ვერ ხდება მაჟორიტარული წესით არჩეული ნუგზარ ფუტყარაძის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა.

საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნის თანახმად არ არსებობს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის ხელშეშლელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, ამდენად კენჭისყრაზე დააყენა 34 (ოცდათოთხმეტი) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი ერთიანი სიის მიხედვით.

დაიწყო კენჭისყრის პროცედურა:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 4 (ნ. ფუტკარაძე, მ. ქობულაძე, ზ. მექვაბიშვილი, ა. ვარშალომიძე)

და ა დ გ ი ნ ე ს: მიღებულ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკრებულოს განკარგულება.

საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ, ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო ვერ მოხდა მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა. აღნიშნული ფაქტი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საკრებულოს სხდომამ ცნობად უნდა მიიღოს კენჭისყრის გარეშე. აღნიშნულის შესახებ სთხოვა საკრებულოს აპარატს საოქმო ჩანაწერის გაკეთება საკრებულოს სხდომის ოქმში და მისი შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში გადაგზავნა.

ვინაიდან საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ცნობილ იქნა, კოლეგებს მიულოცა და უსურვა წარმატებები.

მან საკრებულოს პირველი მოწვევის სხდომის თავმჯდომარემ ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ გადადის სამუშაო განრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის მოხსენება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების რეგისტრაციის თაობაზე.

საკრებულოს წევრებს მიმართა თხოვნით, ფრაქციის დასარეგისტრირებლად დროებით სამანდატო კომისიას წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია (განაცხადი, ფრაქციის წესდება, ფრაქციის სხდომის ოქმი), დროებითი სამანდატო კომისიის მიერ ფრაქციების რეგისტრაციის მიზნით. შესაბამისად ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დასარეგისტრირებლად საკრებულოს წევრების მიერ სამანდატო კომისიისათვის წარდგენილი იქნა საჭირო დოკუმენტაცია.

საკრებულოს წევრებმა: ნატალია ზოიძემ და ნოდარ დუმბაძემ სხდომის თავმჯდომარისაგან ითხოვეს სიტყვით გამოსვლის (განცხადების გაკეთების) უფლება, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ფრაქციების რეგისტრაციის საკითხის შემდეგ მისცემდა მათ აღნიშნულის საშუალებას.

დროებითმა სამანდატო კომისიამ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დასარეგისტრირებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად დაუყოვნებლივ განიხილა, მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ, სხდომას მოახსენა ამის თაობაზე ინფორმაცია და ფრაქციის რეგისტრაციაზე მიღებული გადაწყვეტილება წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ სხდომის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება შეუზღუდოს სიტყვით გამოსვლისა და განცხადების გაკეთების უფლება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მან წინასწარ, სხდომის დაწყებამდე გააკეთა ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მის კომპეტენციაში შედის და სხდომის თავმჯდომარე ებულობს გადაწყვეტილებას ვის და რა თანმიმდევრობით მისცეს სიტყვით გამოსვლის უფლება და რომ ნებართვის გარეშე საუბარი რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ უმძიმესი იყო მის მიერ დღევანდელ სხდომაზე დასწრება და ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან დღევანდელი სხდომა უნდა ჩაეტარებინა თავის ძმას, უხუცეს წევრს ნუგზარ ფუტკარაძეს, რომელიც ქართული ოცნების ზეწოლის გამო გარდაიცვალა. მაგრამ მას აქვს პასუხისმგებლობა მისი ამომრჩევლის წინაშე და ამ ვალდებულების გამო დაესწრო საკრებულოს სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა ღრმა მწუხარება ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო და მიუსამძიმრა გარდაცვლილის ოჯახს.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დარეგისტრირებულია სამანდატო კომისიის მიერ და ცნობად იქნეს მიღებული აღნიშნულის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარის მიერ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცხადების შემდეგ სხდომის დატოვება დაიწყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელოს“ წევრებმა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების შემდეგ ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარემ ნერიმან ცინცაძემ საკრებულოს აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ სხდომას ესწრება 17 საკრებულოს წევრი, შესაბამისად არ არის საკმარისი ქვორუმი და სხდომა არაუფლებამოსილია გააგრძელოს საკითხების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

**ახალარჩეული საკრებულოს პირველი
სხდომის თავმჯდომარე:**

ნერიმან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, სხდომის მდივანი

